№ 146
კვირა, 10 ივლისი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 0 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 146
კვირა, 10 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—4 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 10 ივლისს

განსვენებულის ინჟინრის კორშის საზარელის სიკვდილის გამო გაზეთ „კავკაზმა“ ხანჯლის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი.

როდესაც რუსული გაზეთი ამტკიცებს, რომ ხანჯალი მომაკვდინებელი, ავაზაკური იარაღია, რომ ხანჯლის ტარებას ცუდი გავლენა აქვს კაცის ხასიათზე, რომ იგი განათლების გასავრცელებლად არ ჩაითვლება კარგ საშუალებადაო—ყოველ ამის შესახებ, რასაკვირველია, ვეთანხმებით ჩვენს ოფიციალურს გაზეთს. მაგრამ ის-კი ვეღარ გაგვიგია—რითა სჯობს უბეში დამალული კაზერიოს ხანჯალი, გამოჩენილს, წელზედ ჩამოკიდებულს გარშენინის ხანჯალს?

კავკაზი ამბობს, რომ

„ისეთი ბოროტ-განზრახველი, როგორიც გარშენინია, დაფარულის იარაღითაც მოახერხებდა თავის განზრახვის აღსრულებას, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მაშინ იგი ვეღარ შესძლებდა ყველა თავის ბოროტ განზრახვის სისრულეში მოყვანას. რაკი ერთის მოკვლა უნდოდა, საეჭვო-დაა, რომ გაებედა და მეორე მოეკლა; იმისთვის, რომ ერთის მოკვლასაც ხანჯალ-დაფარულმა კაცმა დიდი ოსტატობა და ხერხი უნდა მოანდომოსო“.

თუ რუსული გაზეთი საზოგადოდ ჰგმობს იარაღსა და განსაკუთრებით ხანჯალს—ამის წინააღმდეგი რა უნდა ითქვას? რასაკვირველია, ხანჯალი, ისე, როგორც ყოველი სხვა მომაკვდინებელი იარაღი, თოფი, დამბაჩა, ზარბაზანი. არ არის უებარი საშუალება ადამიანთა შორის ბედნიერებისა და სიყვარულის დამკვიდრებისა! ყოველი ესე, უეჭველია კერპობის დროის ჩაანდერძევია და, თუ ახლა მთელი სახელმწიფოები მილლიარდებს ჰხარჯავენ იარაღისა და ჯარისათვის, რომელიც ემბლემაა მხოლოდ ბარბაროსობისა და არა განათლებისა,—ეს მხოლოდ სამწუხაროა. სანატრელია, რომ როგორც კერძო კაცთა შორის, ისე სახელმწიფოთა შორისაც, ძალა-კი არ იყოს დავის გადამწყვეტი, არამედ სამართალი.

მაგრამ ეს დრო შორს არის და იქნება შეუძლებელიც იყოს კაცობრიობა მოესწროს ოდესმე, რომ ომი და იარაღი გაუქმდეს სამუდამოდ... პრუდონს სრულიად არა სჯერა ომის მოსპობა, პირ-იქით, იგი ამტკიცებს, რომ ომი სასარგებლო არის ქვეყნის განათლებისა და წარმატებისათვისო.

დავანებოთ თავი იმას, თუ რაოდენად მართალია გამოჩენილი მწერალი საფრანგეთისა, აგრეთვე იმასაც, თუ რაოდენად საფუძვლიანია „მშვიდობიანობის დასის“ „Ligue de la Paix“-ს მისწრაფება, რომელიც ომის მოსპობას სცდილობს; ორივეს ამათ, უეჭველია, მრავალი საბუთი მოეძებნებათ თავისის აზრისათვის.

ჩვენ გვგონია, რამდენადაც თითოეულის კაცისთვის არის დანაშაული მახვილის აღება თავის მოპირდაპირის სიცოცხლის მოსასპობად, იმდენადვე დანაშაულობაა მთელის სახელმწიფოსთვის გალაშქრება, ათასის და ასიათასის ადამიანის გაჟლეტა, ქვეყნების განადგურება და თავის სიმართლის თოფითა და ზარბაზნით დამტკიცება.

კიდევ ვიტყვით: თუ ერთის კაცის მოკვლა დანაშაულობაა, რასაკვირველია, უფრო გაცილებით დიდი შეცოდებაა მილიონის კაცის მოკვლა; ორივე საძაგელია და ორივე წინააღმდეგი ადამიანის ბუნებისა. „ომიო“, ამბობს დიდი ფილოსოფოსი ფიხტე, „იგივე ავაზაკობაა, მხოლოდ ავაზაკობა დიდის ხარისხისაო“.

მაგრამ აქედან ის აზრი-კი არ იბადება, რაკი ომი სავნებელია და იმისი მოსპობა ჩვენ ხელთ არ არის, კერძო კაცის დანაშაული მოსაწონი იყოს და კანონიერი.

სრულიად მარტივმა „კავკაზის“ აზრმა, რომ გამოჩენილი ხანჯალი უფრო საშიშარია და საზიზღარიც შენახულ ხანჯალთან შედარებით, ასე შორს წაგვიყვანა და დაგვავიწყდა გვეკითხა წერილის ავტორისათვის: რად უნდა იყოს, ბატონო, წელზე ჩამოკიდებული ხანჯალი უფრო საშიში პალტოსა და სერთუკ ქვეშ დამალულ ხანჯალზედ?

ხანჯალი ორივე საძაგელია, გამოჩენილიცა და დამალულიც, მაგრამ ამ ორში ისევ წელზე ჩამოკიდებული სჯობია, რადგანაც ჰხედავს კაცი მაინც და შესაძლებელია ცოტა სიფრთხილე იქონიოს, მეტადრე მაშინ, როდესაც მტერთან აქვს საქმე. ხოლო დაფარულ ხანჯლის წინააღმდეგ, როგორც ყოველ საიდუმლოს წინააღმდეგ, ბრძოლა სრულიად შეუძლებელია და ავაზაკს ათასჯერ უფრო ადვილად შეუძლია თავისის საზიზღარ ბოროტების ჩადენა დამალულის მახვილით, ვიდრე გამოჩენილით. ეს ვისაც-კი იარაღის ხმარება ცოტად მაინც ესმის და, როგორც ამბობს ავტორი, „დანაშაულობის პსიხოლოგია გაეგება“, ყველამ კარგად იცის.

ჩვენ ყოველ ამას საზოგადოდ, დედა-აზრის თვალით ვსინჯავთ. რაც შეეხება ხანჯლის ტარებას ჩვენში, კავკასიაში, ამას თავისი მნიშვნელობა აქვს, თავისი მიზეზი, რომელიც ყოვლად საჭიროდ ჰხდის იმის ტარებას, და ვიდრე ეს მიზეზი არ მოისპობა, არც ხანჯლის ტარების აღკრძალვაა შესაძლებელი.

მეველე

## დეპეშა

8 ივლისი

**რომი.** ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლომ ლეგას, რომელსაც კრისპის მოკვლა უნდოდა, 20 წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად ტფილისის მცხოვრებლები ძალიან შეწუხებაში არიან უწყლოობის გამო. ავჭალაში ქვაბები გაფუჭებულა და წყლის მანქანა წყალს აღარ იძლევა.

რადგან ავჭალის წყალი არა ჰყოფნის ტფილისს, გუშინწინ, 8 ივლისს საგურამოს წავიდნენ ტფილისის მოურავი პ. ა. იზმაილოვი და მთა-მადნის ინჟენერი ბარბოტ-დე-მარნი საგურამოს წყაროების გასასინჯად. ავჭალის მილის წყალს ჰსურთ სხვა წყაროებიც დაახმარონ და ამ წყარო-წყალის გამოსაკვლევად ტფილისის საბჭოს გადადებული აქვს 4,000 მან.

*** ჩვენ მოგვივიდა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ოზურგეთში იაფ-ფასიანი წიგნაკი „სოინარი“ (კრებული ლექსებისა), შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ. ამ წიგნაკში მოთავსებულია 29 ლექსი ჩვენის პოეტებისა, შეიცავს 67 გვერდს და ჰღირს სულ ორი შაური. როგორც წიგნაკზედ უკანა პირის ყდაზედ აწერია, მოგება გადადებული ყოფილა ერთის საზღვარგარედ მოსწავლე ყმაწვილის კაცის სასარგებლოდ.

*** არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა გამოცხადებული, რომ კვირა დღეობით ვაჭრობა აღკრძალული ქმნესო; მაგრამ, არა თუ სხვა ქალაქში, არამედ თბილისშიაც უყურადღებოდ არის დატოვებული ეს საქმე. შუა გულ ქალაქ მოშორებულ სა-

## ფელეტონი

### ჩანგის ხმები

ესეც სევდები!.. დღეს მეც მნახეს, ქენჯნა დამიწყეს,
ცრემლი, ქვითინი, შხამ ნაღველი უხვად მომიწყეს;
ჰქრება იმედი ცხოვრებისა, გულს მიკოდს წყლული,
დასტირი ჩემს ბედს უნუგეშოს გაწარებული!..
ვით ჩვეული ვარ ტანჯვათა დროს ვაკვნესო ქნარი,
რომ ოდნავ მაინც მით დავიტკბო გრძნობა დამწვარი,—
ახლაც იმისთვის იმისაკენ მივისწრაფები,
რომ მოვისმინო სენთ-მკურნალი იმისი ხმები...
მიყვარს სამთ ჟღერა თან ხმა ტკბილი და თანაც მწარე!
გულის და სულის იგივ მტერი, იგივ მოყვარე!
ყურს ვუგდებ მათსა იდუმალსა მოთქმას და ჟღერას,
არ გააჩნს ზღვარი უცნაურსა ჩემს გულის მღერას.
თითქოს ის ხმები, უმეცართგან მნელად საცნობნი,
იყვნენ გულისა სიღრმისაგან გვნესით ნაშობნი;
თითქოს იგინი თან შეზრდოდნენ გულის მწარ ჰანგსა
და თანაგრძნობით, ვით სულდგმულნი, აძლევდნენ ბანსა!..
ხან ჰკვნესიან გულთან ერთად და ცრემლსა ღვრიან,
ხან ჰკისკისებენ, უდარდელად გაიმღერიან.
მაგრამ სიცილიც, ლხენაც, მღერაც, მოთქმაც და ზარი
ღვთისგან ნაკურთხის ტკბილის ჩანგის სულ სხვა რამ არი;
სულ არა ჰგვანან ქვეყნიურსა ცრუ გამოცანას,—
მათ შიგ გამოსცნობ ციურსა ნიჭს და ციურს „ნანას“;
მათ შორის ჰღვივის ცის ლამპარი—სულის ერთობის,
ურთი-ერთ შორის სიყვარულის, უმანკო გრძნობის.
თუ ერთი სიმი ჰკვნესის, სტირის, აქვს ცრემლთა დენა,
შორს განუგდია გულ-მატკბობი მღერა და ლხენა—
მაშინ გულ-წრფელად, ხმა შეწყობით თანა უგრძნობენ,
ცრემლებსა ღვრიან სხვა სიმებიც და ქვითინებენ.
მაგრამ, თუ ერთმა ტკბილის გრძნობით დაიწყო მღერა,
ნუგეშის სხივით მოართო გულსა ძაძგერა,
დასტრიალა საამურად ნაზი ჰანგები;
განფანტა სევდის გულ დამთუთქა შავი ღრუბლები,—
მაშინ ისმინე, თუ რა გრძნობით, რა აღტაცებით,
ციურის მადლით გამსჭვალულის უებრო ხმებით,
რა თანაგრძნობით ჰკრიალებენ ჩანგის სიმები,
რა შეწყობილი გამოისმის იმათი ხმები!..
ეხ! ნეტავი თქვენ, ცით ნაკურთხნო სიმნო ხმა ტკბილნო,
წრფელის ზრახვების ოცნებულნო, მადლით მოსილნო!
ნეტავი თქვენებრ ჩვენ სულდგმულთა, ბოროტის გონების,
ღვთისგან ნაკურთხთა თვით მეფედ მთელის ბუნების,
გვქონდეს და გვრწამდეს აგრე მტკიცედ შეკრული გული,
თანხმობა, ძმობა, ერთგულება და სიყვარული!..
ნეტავი თქვენებრ ერთად ვგრძნობდეთ ჭირსა და ლხენას,
ერის საკეთილდღეოდ გაუხნებდეთ ჩვენს მრუდე ენას!..
მაგრამ სად არის ეგ ცხოვრება, ან სად შევხვდებით?
ვაი, რომ გვკვდებით და მისს სხივსაც-კი ვერ ვესწრებით!..

გრ. აბაშიძე

### ინგლისის საზოგადო ცხოვრება

ლონდონი, 2 ივლისი 1894 წ.

ახალის ხიდის გამართვა.—დედათა საარჩევნო უფლების გამო გამართული მიტინგები.—ერთი თვისება ინგლისელის ხასიათისა. ფრანკლინის კლუბში გამართული სადილი.

ამ სამის დღის წინად ლონდონში დღესასწაული გადაიხადა მდ. ტემზაზედ ახალის ხიდის გაკეთების გამო. ხიდი ლონდონში მრავალია, ქვისა, რკინისა, თუ ჯაჭვისა, მგონი მდინარეს ქვეშ გაყვანილი ხიდიც-კი აქვთ—შესანიშნავი გვირაბი—ასე რომ, თითქოს, ძნელად წარმოსადგენია გაოცება ლონდონელებისა და მიზიდვა მილიონის ხალხისა, რომელთაც აევსოთ რუე, ხიდები, და ერთს ვერსზედ განიერი მდინარე დაეფარა ხალხით სავსე ნავებს, გემებსა და ხომალდებს. მაგრამ ეს ხიდი საოცარი ქმნილებაა საინჟენერო და სახუროთმოძღვრო ხელოვნებისა. ჩვეულებრივ თაღების ნაცვლად, მდინარის შუა ადგილიდგან ამართულია ორი მშვენიერი ციხე, rénaissance-ს დროის გემოვნებაზედ აგებული; ამ ციხის მაღალი თავები ზემოდგან დასცქერის ყველა სახლებსა და ტოუერის ციხეებს, საიდგანაც გადებულია კიდეც ხიდი.

ამ ორ გოლიათურ ციხიდგან მიდის ჰაერში ატანილი მისავალი გზა მდინარის ორისავე ნაპირისაკენ, ამ ნაპირებზედ გამართულია მისავალი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრო დუქნების ნოქრებს ორ წილად მეტი ჯაფა აწევთ რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, კარ-დაკეტილ დუქნში მეტად ძნელია ვაჭრობა; კვირა დღეს, გაიხედავ, დუქნები დაკეტილია, შიგ-კი გაცხარებული ვაჭრობაა. ზოგიერთ დუქნის პატრონებს კარებიც-კი გაღებული აქვთ და ისე თამამად ვაჭრობენ, როგორც ორშაბათს დღეს. ან-კი რისთვის დაჰკეტავს, როდესაც ხმის გამცემი არავინა ჰყავს!?. საჭიროა და ფრიად საჭირო, რათა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

*** სოფ. ვაქირი (კახეთი): 6 ივლისს. დადგა ივლისი და სიღნაღში ხილეულობით მოვაჭრეთ დაუწყეს სოფლი-სოფლად, კარი-კარს ტარება და გასაღება დამპალს და უვარგისს ხილს. ის, რაც სიღნაღელებისათვის უვარგისია, სოფლად დიდს მუშტარს იზიდავს, რადგანაც დამპალი და უვარგისი ხილი საღდება ყოველნაირ სოფლის ნაწარმოებზედ. ჯერ ისევ ივნისში ადგილობრივმა მამასახლისმა მიაქცია ყურადღება სოფლად ხილით მოვაჭრე ვაჭბატონებს და სასტიკად აღკრძალა უვარგისის ხილის ყიდვა. დააყენა კაცი, რომელიც მოვალეა არ გააჭაჭანოს სოფლად უვარგისი ხილით მოვაჭრენი.

*** იქიდგანვე: აქეთ დიდი სიცხეები და გვალვაა. ღმერთმა ცის ნამს დაგვანატრულა. არავითარს ავადმყოფობას ჯერ თავი არ უჩენია, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკივა. მოსავლისა ჯერ-ჯერობით გადაწყვეტით არა ითქმის-რა. როგორც ამბობენ, წელს საშუალო მოსავალი იქნება.

*** ქ. სიღნაღი: სალათას ძილით მიძინებულ-მიბუნდული ჩვენი სიღნაღის საზოგადოება გამოაღვიძა ამ თვის 3-ს გამართულმა წარმოდგენამ. ივლისის სამს სცენის მოყვარეთა გაჰმართეს წარმოდგენა სიღნაღის საზოგადოების კლუბის დარბაზში საქველმოქმედო აზრით. წარმოადგინეს ვოდევილები: „მონადირე", „ხოლერობა", იგალობეს ქართული სიმღერები და შემდეგ ცეკვა გამართეს. მონაწილეობა მიიღეს, ქალებმა თავ. ს. თ. ანდრონიკაშვილისამ და თ. რუსიშვილისამ, ბ-ნებმა ი. დ. ქიტიაშვილმა, ვ. ს. ბეჯიაშვილმა, გ. ტყავაძემ, ბ. შუშაშვილმა, ჩაჩანიძემ, ი. მ. შავლიაშვილმა და სხვ. სიმღერის ხორო იყო შემდგარი ი. მ. შავლიაშვილის ლოტბარობით. მართალია, მოკლე დროს და მოუმზადებლად მოახერხეს წარმოდგენის დადგმა, მაგრამ თითქმის ყველამ უნაკლულოთ და მშვენივრად შეასრულა თავისი როლები.

ამ წარმოდგენით დიდად ისიამოვნა დამსწრე საზოგაოოებამ. საზოგადოება მრავლად დაესწრო წარმოდგენას. ადგილის უქონლობის გამო რამდენიმე კაცი ფეხზე იდგნენ.

*** ხუთშაბათს, 7 ივლისს, შუაღამის 2 საათზედ მთაწმინდის მთიდგან ჩამოირბინა მგელმა, რომელმაც გაირბინა ზემო მხარე „კოლიუჩი ხევისა", თითქმის მთელი „მოსკოვის ხევისა" და გადაიარა სომხების სასაფლაოსკენ.

გამოჩნდა მგელი თუ არა, ძაღლებმა შეჰქნეს საშინელი ღმუილი და შეეფარნენ ეზოებს. მგელმა ერთს ძაღლს მოასწრო, დაარჩო, გადაიგდო ზურგზედ და გორისაკენ წაიღო. ძაღლების ღმუილმა დიდხანს გასტანა. ამ ხმაზედ ერთი იმ უბნელი გამოვარდა და ორჯელ ესროლა რევოლვერი მგელს, მაგრამ ვერ მოახვედრა. მგელმა მაინც თან წაიღო თავისი მსხვერპლი. გაზ. „Кавказъ"-ი ამბობს, რომ აგერ უკვე რამოდენიმე წელიწადია, ქალაქს მგელი არა სტუმრებიაო.

*** გუშინდელ „Нов. Врем." მე-6587 №-რის დამატებაში დაბეჭდილია სურათი კავალერიის გენერალის თ. ზაქარია გულბაათის ძის ჭავჭავაძისა მისის სამსახურის ორმოცდა-ათის წლის იუბილეის გამო.

*** როგორც გაზ. „Т. Л." იუწყება, ბაქოდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ადგილობრივ ვაჭარს და ხომალდების პატრონს გრიგოლ თუმაევს, რომელიც ასე უდროოდ დაიღუპა ხომალდ „ვლადიმირ"-ზედ, შინაურის ანდერძით დაუტოვა მხოლოდ სომეხთა სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოებას 75,000 მანეთიო.

*** 8 ივლისს არსენალის ქუჩაზედ იპოვნეს სამის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ჭავჭავაძის ქუჩაზედ ივანე ეგოროვს სარდაფიდგან 55 მან. ღვინო და ნივთეული მოჰპარეს. ქურდობა დიღომის მცხოვრებელს გიორგი მჭედლიშვილს დაჰბრალდა, რომელსაც პოლიცია უკვე დაეძებს.

## დამაკვირდი

სასიამოვნო ბაღს, კარებ ღიასა ადამიანი გულ გრილად ჩაუვლის ხოლმე, სინანულს კი მხოლოდ მაშინ მოჰყვება, როდესაც დაკეტილსა ჰხედავს.

კელლერი

**

მდიდარს უფრო ადვილად აძლევენ საჩუქრად, ვიდრე ღარიბს სესხად.

**

## კორესპონდენცია

**სოფ. ტყვიავი,** (ქართლი) 2 ივლისი. კაცი ვერ წარმოიდგენს, როგორ გაჭირვებაში არის ეხლა ჩვენებური გლეხ-კაცი: ბეგარა, ფოსტის ფული, საქონლის ავადმყოფობა, უამინდობა სულ ერთად დააწვა კისერზედ. მაისის ათიდგან დაწყებული თითქმის აქამდე ადგნენ გორის გზატკეცილის ქვიშის დაყრას. რის ვაი ვაგლახით მორჩნენ ამ საქმეს, რომ გამოეცხადათ: ამ ერთს კვირაზედ ფოსტის ფული მზად უნდა იყოსო. მოსწყდათ წელი საწყლებს, აი ხვეწნა, აი თხოვნის მირთმევა, მაგრამ ფოსტის ფულის აკრება ვერ გარდაადებინეს. ჩვენებური გლეხ-კაცი ასე მდიდარი თითქმის არავინ იქნება, რომ ბრძანების უმალვე შევიდეს სახლში და გამოიტანოს ხუთი ექვსი მანათი ნახევარ წლის ფოსტის ფული. ან უნდა გაჰყიდოს რამე, ან იმუშაოს სადმე და ან ვალი აიღოს. გასაყიდი ეხლა ამ ძველ-ახლობას ძნელად თუ ჰქონდეს რამე გლეხ-კაცს, პირ-იქით, მომეტებულს უფრო საყიდელი აქვთ.

მუშაობის ერთად-ერთი წყარო ეხლა მკა არის, მაგრამ ამდენმა უამინდობამ ძალიან დააგვიანა მოსავლის დამწიფება. კვლავ ჩვენს ქვემოდ სამხრეთისკენ სოფლებში ამ დროს გახურებული მკა ყოფილა ხოლმე. ისევ ნება უნებურად უნდა მიჰმართოს მისდა გაუკებრადვე დამღუპველს ვალს. რამდენსამე შეუკროვებია თუ სადმე უსესხია ამ დროსთვის ფული და დიდის ხვეწნის და მუდარის შემდეგ თავისსავე მეზობელს აძლევენ ხუთ მანათს ორის კვირის ვადით ათშაურ სარგებლით. რას იზამს გლეხ-კაცი, მანათიც რომ სთხოვოს, უნდა მისცეს; თუ არა-და, გაეყიდება ხუთს მანათში ქვაბები, ფარდაგები, ლოგინი და სხვა, გირაოდ გატანილი ჩაფრებისაგან. აი ამისთანა მოვახშეების ხელში არიან ჩაცვინული ჩვენი გლეხ-კაცობა და თავი ვერ დაუხწევიათ იმათ ბრჭყალებისაგან: ძალას იხმარ, რომ ნუ ილებ ამდენს სარგებელსაო, აღარ მოგცემს ვალს, სინიდისით დაუწყებ ლაპარაკს-და, სინიდისი იმათგან შორს არის. ძალიან სასურველი და მეტად სამადლო საქმე იქნებოდა, რომ ვისიც ჯერ არს ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და როგორმე ააცილოს კვლავ მაინც ეს სატანჯველი უმრავლესს გლეხკაცობას. ხშირად აკრებილა ფოსტის ფული პირველი ნახევარისა მკის შემდეგ ე. ი. 15—30 ივლისამდე, და მაშინ ადვილად გადაუხდიათ ხოლმე, რადგანაც ყველა მუშა კაცი მიდის სამკალად უცხო ადგილებში. ბევრი ჩვენებური ეხლაც მიდის ხოლმე განჯის გუბერნიაში სამკალად. ყოველთვის რომ ამ დროს აიკრიბოს სწორედ, დიდი შეღავათი მიეცემა სოფელს, არც იმდენი შეუტანელი ხარჯი დარჩება, როგორც ეხლაა და არც სული ამოსძვრება გლეხკაცს ასეთის ვალის აღებით.

ეს ერთი თვე იქნება, რაც აქეთ თურქული გაუჩნდა საქონელს და ხელი მოუცარა მუშა ხალხს. ახალი შებმული ანეულის გუთნები სულ ერთიანად ჩაიშალა და უხნავად დარჩა. რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო უძნელდება საქონელს სატკივარი. პირის სატკივარს ოთხ-ხუთს დღეს ხდილობს საქონელი, მაგრამ ფეხისა ასე ადვილად ვერა რჩება, მომეტებულს ნაწილს დაეხვია მატლი და ჩლიქები სცვივა. ისეთი არის ეხლა აქაური საქონელი, რომ სულ ლასლასი გაუდის სისუსტისაგან. ჩვენს მახლობელს სოფელ შერთულში ჭირი არის გავრცელებული და უწყალოდ ჰჟლეტავს საქონელს. შენი მტერია ჩვენი საქმე იქნება, თუ ამ ნაავადმყოფარს საქონელს მოასწრო აქა. სულ ერთიანად გამოგვაცლის ხელიდგან.

მთელმა თიბათვემ ისე გაიარა, რომ მოწმენდილი და თბილი დღე სულ ორი არ დაგვინახავს. მუდამ მოღრუბლული, მაგრამ უწვიმო ცა შავად გამოიყურებოდა, გამუდმებით უბერავდა ცივი ძლიერი და ხმელი ქარი და ნორჩს ვაზის რქას მიწასთან ასწორებდა. ამ შუაგულ ზაფხულში ცეცხლითა ვთბებოდით, აბა ამისთანა ამინდი რა ხეირს დააყრიდა დასაპურებელს ჭირნახულს?! ჭირნახულს კარგი პირი უჩანდა, არ მოველოდით ნაკლებ მოსავალს, თუ ამ სიცივემ ძალიან არ გააფუჭა და ამას იქით ხელი აიღო. ვაზი საოცრად არის აქეთ წამხდარი: ერთსა და იმავე ვენახში ნახევარზე უკლებლად ასხია და ნახევარს რქაც აღარ გამოჰპმია.

საზოგადოდ ბარის ოსებზედ მახლობელს სოფლებს გაჭირვებული აქვთ საქმე ოსების ქურდობით. ტყვიავიც არ არის ამ მხრივ გულნაკლულად. თუ პატარა შებინდდა და პატრონმა თვალი მოაშორა ან საქონელს, ან რაიმე ოსების საყვარელს მოსავალს, თავისი ნუღარ ეგონება. ივნისის უკანასკნელს ნახევარში მოიპარეს აქ ორი ძროხა და ერთი ხარი. ვენახები ხომ სულ გაქელილებია ამათგან. ტყვიაველები ძალიან ეტანებიან ნივრის მოყვანას და კარგს სარგებლობასაც ჰხედავენ. ერთი-ორად ნაკლები მოვლა უნდა სიმინდთან შედარებით და ერთი-ორად მეტი ფასი აქვს. ოსებს ძალიან უყვართ ნიორი და საზოგადოდ მწარე საჭმელი. თუ დაიხელთეს როდისმე, მოუპარავს არ გაუშვებენ. ხან ისეთს თავხედობასაც იჩენენ, რომ აღარც დარაჯს ერიდებიან, როდესაც დაქანცულს მისძინებია და ზედ იმის გვერდითვე იპარვენ. თუ გაუგეს ქურდობა, უარესია, შევა ვენახში, სულ ერთიანად მიწასთან გა-

---

დღესასწაულო კარები იმავე გემოვნებითა და ისეთისავე მშვენიერებით გაკეთებული, როგორც თვით ციხენი, მხოლოდ უფრო დაბლა-კი. ამ ციხეთა შუა ადგილას, სიგანით 70 საჟენისა, გაყვანილია ორი რკინის ხიდი, ერთი მეორეზედ. ქვემო ხიდი იხსნება, რომ გაატაროს დიდ იალქნიანი გემები და უფრო ეტლებისათვის არის დანიშნული, ზემო ხიდი თითქმის 26 საჟენის სიმაღლეზეა და ფეხით მოსიარულეთათვის არის დანიშნული იმ დროისათვის, თუ ქვემო ხიდი გახსნილია. ეს ხიდი სწორედ საუცხოო ძეგლსა ჰგავს. ქვა და რკინა, მთელი მუშაობა, ყოველი მისი წვრილმანი ნათლადა ჰმოწმობს უუმაღლესად განვითარებას ჩვენის დროის ხელოვნებისასა, მეცნიერებისასა და ტეხნიკისას... და ლონდონის შეძლებულმა სიტიმაც არ დაიშურა ფული ამ დიდებულის შენობისათვის: როდესაც სრულიად დამთავრდება, 11 მილიონ მანეთზედ მეტი ეღირება.

**

წარსულს კვირას იმ საზოგადოებათა ფედერაციის, რომელთაც განზრახვა აქვთ დედათ საარჩევანო უფლება მიახიჭონ პარლამენტში, ორი მიტინგი ჰქონდათ. ერთი ამ მიტინგთაგანი ფრიად შესანიშნავი იყო, რადგან თვით მიტინგის მონაწილენი, ორატორნი ინგლისის საუკეთესო საზოგადოების წევრნი იყვნენ. თავმჯდომარეობდა ქ-ნი კარლეილი, უმთავრესი ორატორი ქ-ნი ჰნრი სომერსეტი იყო, დანარჩენ ორატორებად იყვნენ დიდად ტურფა და მშვენიერნი ქალნი Miss ვინფიოლ ფილიპსი, Miss ორმისტონ ჩანტი, პროფესორები და პარლამენტის წევრნი. მიტინგს დაესწრნენ დელეგატები დედათა სალიბერალო ფედერაციისა, ლოთობის წინააღმდეგ დაარსებულ ბრიტანიის დედათა საზოგადოებისა, დედათა საარჩევანო უფლების ცენტრალურ კავშირისა, ამავე უფლების საერო კავშირისა, დედათა სახელოსნო კავშირებისა და სხვა მრავალ კერძო საზოგადოებათა.

ამ საზოგადოებათა და კავშირთ ასი ათასობით წევრი ჰყავთ და იმათი მოღვაწეობა მარტო დედათათვის საარჩევანო უფლების მოპოვებით არა კმაყოფილდება. საეკონომიო და სოციალურ მოძრაობის ყოველს საქმეშიაც იღებენ მონაწილეობას. განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვთ ალზოდის საქმეში და ხელს უმართავენ მუშაობის აღმკვეთელ მუშებს საეკონომიო ბრძოლაში. წარსულს წელს ნახშირის მღვიმე-მაღაროების მუშათ ფულად და ქონებრივად დახმარება თითქმის უმეტესად ქალებმა იკისრეს და 200,000 მანეთამდე ფული შეჰკრიბეს. საზოგადოდ დედაკაცის როლსა და მნიშვნელობას მკითხველებს გავაცნობ უკვე ჩემ მიერ დაწყებულს წერილებში „ეხლანდელი ინგლისელი დედაკაცი", ეხლა-კი მინდა მოკლედ აღვნიშნო ეს მიტინგები, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. გაზვიადებული არ მოგვივა, თუ ვსთქვით, რომ საარჩევანო უფლებას ინგლისის დედანი ამ ახლო მომავალში მოიპოვებენ. ინგლისის დედაკაცი ავსტრალიაში უკვე ეღირსა ამ უფლებას. აქ ყოველივე უფლება მოპოვებული აქვთ გზა-კვალ გადაუხვევლის ხან მშვიდობიანისა და ხან სისხლის მღვრელ ბრძოლით და ბრძოლა კი, ბრძოლა ჩაციებული, განუწყვეტელი, მტკიცე, ინგლისელის ხასიათის ძირეული თვისებაა. რაღა საკვირველია, რომ ინგლისელმა დედაკაცმაც მოიპოვოს თვისნი უფლებანი.

**

ნება მომეცით მოვიტანო ერთი მაგალითი ჯონ ბულის ხასიათის სიმტკიცისა და სიკერპისა. ყველამ უწყის, რომ ინგლისელებს ყოველ გვარ მიტინგის გამართვა დიდად უყვართ და იკრიბებიან ყოველს ჯვარედინა ქუჩაზედ, ბაღებში, მოედნებზედ. მერე ყველანი ჰლაპარაკობენ: მღვდლები, დედაკაცები, მეცნიერნი, სწავლულნი, გაიძვერა მატყუარანი. ჰაიდ-პარკში ხშირად ჰნახავთ ექვსს, შვიდს და მეტს პაწია მიტინგს, ერთი-ერთმანერთის ახლოს გამართულს, და იქავე სახე-დინჯს და გულ-ცივს პოლიციელს, რომელსაც საგანგებოდ ასწავლიან შეუშფოთებელის სიწყნარითა და სიდინჯით იმათ შორის ხეტიალს. ერთმა უცხო-ქვეყნელმა მიჰმართა ერთ ასეთ შეუშფოთებელსა და უნებურს მსმენელს და სთხოვა, ამიხსენით, რა აქვს აზრად ამ მიტინგებსაო?

პოლიციელმა გულ-დინჯად უპასუხა:

— აი, ის ღმერთისა და სარწმუნოების შესახებ ჰლაპარაკობს; მეორე—მატერიალიზმისა და ატეიზმის თაობაზედ; მესამე ლორდთა პალატას ესარჩლება, მეოთხე—ჰკიცხავს; მეხუთე პოლიციის ქომაგია, მეექვსე—მტერი, ყველანი კი ერთად სისულელეს სჩმახავენ, და მეც ყურს ვუგდებო...

ამ ორიოდე წლის წინად-კი პოლიციამ განიზრახა ჩვეულების დარღვევა და იმ მიზეზით, რომ ვითომ წამსვლელ-მომსვლელთა და მოსიარულეთ უშლითო, უნდოდა აღეკრძალა ერთი საკვირაო მიტინგი. ბრბომ ხალხისამ დრტვინვა დაიწყო. პოლიცია თავისას არ იშლიდა. ორატორმა განაცხადა, რომ მხოლოდ ლონესა და ძალას დაუემორჩილები, სხვას არაფერსაო. „კარგიო, გულ-არხეინად უპასუხეს პოლიციელებმა, დაგაპატიმრებთო". სამნივე წაიყვანეს პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწორებს ფეხით და ხელით ვაზს და პატრონს ხელს ალებინებენ.

ლ. კეცხოველი

## სასოფლო მეურნეობა კავკასიისა ძველს დროს *)

გაზეთ „Кавк. сельс. хаз." ს მე-24 №-ში ამას წინად ერთი ამ გაზეთის მკითხველთაგანი კითხულობდა, „ხომ არ უცდიათ კახეთში ბამბის მოყვანა, თუ უცდიათ, რა ნაყოფი მოუტანია ამ ცდას და შესაძლებელია თუ არა ამ მცენარის მოყვანაო". რედაქციამ პასუხად უგო: „საზოგადოდ რომ ვსთქვათ, კახეთში ბამბა კარგად უნდა მოვიდეს ალაზნისა და იორის ველი ზოგიერთ ადგილებში და მასთან აღნიშნულიც იყო რამდენიმე შემთხვევა ბამბის მოყვანისა.

ამისთანავე საკითხავებს ხშირად აღძვრენ ხოლმე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სხდომის დროს მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ. რასაკვირველია, ამ გვარის საკითხავების განმარტებას ბევრი გამოკვლევა უნდა საგნისა და გამოცდილება, ამ საქმეს ძალიან ხელს შეუწყობდა ისიც, რომ ისტორიული ცნობები გვქონოდა სომხეთისა, საქართველოსი და საზოგადოდ კავკასიის სასოფლო მეურნეობის შესახებ. კავკასია და მისი სასოფლო მეურნეობა, კერძოდ, უკვე შესწავლილი აქვთ ცოტად თუ ბევრად ბერძენ-რომაელთა და სომეხ-ქართველთა მწერლებს, ამიტომ არ იქნებოდა უსარგებლო მიემართათ ამ მწერალთათვის ცნობების აღმოსაკითხავად. ამით შევატყობდით სად რა მცენარე უთესიათ და მოუყვანიათ ჩვენ წინაპართ და სად შეიძლება გაუმჯობესება, მყნობა, შეჩვევა ადგილობრივ ჰავისა და ნიადაგისა და გავრცელება ამა თუ იმ მცენარისა.

მაგალითად, დავასახელოთ თუნდა ჰეროდოტე (480 წლ. ქრისტ. დაბადებამდე), რომელიც სწერს, რომ კოლხიდაში სელი მოჰყავთო და ამ მცენარეს Sardonico ს უწოდებს;— სტრაბონი (66 წელი ქრისტეს დაბადებამდე.—24 წ. ქრისტ. დაბადების შემდეგ), რომელიც იმავ კოლხიდის შესახებ ამბობს, რომ „იქ ძალიან ბევრი მოდის სელი, კანაფი, ცვილი და ფისი; სელის ქსოვილები ამ ქვეყნისა დიდად განთქმული იყო და სხვა ქვეყნებშიაც-კი გაჰქონდათ", (Ганъ, გვერ. 65) იბერნი (ქართველები), იმავე სტრაბონის სიტყვით, მიწის მოქმედნი იყვნენ; ალბანელნი მწყემსნი, სომხითი განთქმული იყო ცხენებით; ალბანიაში (კახეთი კასპიის ზღვამდე) ყოველგვარი ხილი მოდის, თვით უნაზესი ყოველგვარი მცენარე, ის მცენარეც-კი, რომელიც ზამთარ ზაფხულ ჰყვავის; ნიადაგს აქ არავითარი მოვლა არა აქვს, მაგრამ ნაყოფი თვით ჩნდება მოუხნავად და დაუთესავად. ბევრს ადგილას ერთხელ დათესილი მიწა სამჯერ იძლევა ნაყოფს, პირველად ერთი მარცვალი 50-ად იქცევა ხოლმე დაუსვენებლად, მერე ისიც ხის გუთნით მოხნული და არა რკინის გუთნითა. ალბანიაში მშვენიერი სახნავი მიწებია. ყურძნის ვაზი დაუბარავი რჩება და 5 წ. მხოლოც ერთხელ ჰკვეცენ; ქორფა ვაზი მეორე წელიწადსავე იძლევა ნაყოფს, მოზრდილი ვაზი-კი იმდენ ყურძენს ისხამს, რომ მომეტებულს ზედ არჩენენ. გარეული ყურძენიც მშვენივრად მოდის აქ, (Ганъ, გვერ. 69—70). აქედგან აშკარადა სჩანს, რომ ეხლანდელ ყურძნის მოყვანას და ღვინის დაყენებას ცხრამეტის საუკუნის ისტორია აქვს.

ჩვენის ქვეყნის სასოფლო მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ ბევრნი სხვა მწერალნიცა სწერენ, მაგრამ ამათ შორის უფრო დაწვრილებით სწერს მეფე ვახუშტი, რომელმაც გეოგრაფია შეადგინა XVIII საუკუნის დამდეგს. საქართველოს მრავალ გვარი სასოფლო მეურნეობა ვახუშტს აღწერილი აქვს დიდის გულდადებით: ბამბის მოყვანა, ფუტკრის მოშენება, საქონლისა, ვაზის გაშენება, მიწათ-მოქმედება, აბრეშუმის მოყვანა, მთა-მადანთა საქმე და სხ. ამ გვარი ყველაფერი და ყოველივე იმის წიგნშია მოთავსებული.

ვახუშტის სიტყვით, სხვათა შორის, საქართველოს ბამბა უფრო მდარეა, ვიდრე უცხო ქვეყნისა. საუკეთესო ბამბა მოდის კახეთსა და იმერეთში, მაგრამ კახეთის ბამბა სჯობს იმერეთისას. ჩინებული ბამბა იცის კაკი-ელისენში (ზაქათალის ოლქშია) აჭარაში (ბათომის ოლქი) და ისპირში (მდ. ჭოროხის ახლო-მახლო მდებარე ადგილები) ბამბა არ მოჰყავთ, რადგან მიწა ნაკლებად აქვთ; არც ბორჩალოში სთესენ ბამბას, არც ლორსა და თაშირს (ბორჯომის ხეობა), და არც მდ. კუმისის ნაპირად. ამ ადგილებში მხოლოდ მდ. დებედის ნაპირად მოდის კარგად ბამბა.

ამ რიგად, აშკარადა სჩანს, რომ ამ 150 წლ. წინად კახეთში უკეთესი ბამბა მოდიოდა თურმე, ვიდრე იმერეთში. მაშ ეხლა რაღა დააბრკოლებს კახეთში ამ სასარგებლო მცენარის მოყვანას?

*) ეს წერილი ეკუთვნის ბ-ნს მ. ჯანაშვილს და დაბეჭდილია ქვემოხსენებულ სამეურნეო გაზეთის მე-29 №-ში.

## წერილი სტამბოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

აქაური ქართველობა, როგორც იყო მოხსენებული ამას წინად გაზეთ „კვალში" ძალიან ღარიბები არიან. თუმცა მათ შორის ერთი-ორი შეძლებულიც ურევი, მაგრამ იმათ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო აღარაფერი საერთო აღარა აქვთ ჩვენთან. სარწმუნოებისა და უცხო ქვეყანაში ცხოვრების ძალას თითქმის სრულიად აღმოუფხვრია იმათის გულიგან სამშობლოსთვის გულ-შემატკივრობა და მისი სიყვარული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ეს ხალხი არავის არ მოსვლია ფიქრში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი ნასწავლი და შეგნებული კაცები იყვნენ აქ და შეეძლოთ შემწეობა მიეცათ იმათთვის, საქმით და მოქმედებით თუ არა, სიტყვით და მეგობრულის რჩევა-დარიგებით მაინც. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ისე ჰფიქრობს, ისე ამბობს, რომ ჩემზედ კარგი შეგნებული სხვები არიან და იმათ ითავონო. ეჭვი არ არის, რომ ერთი სიტყვა, ერთი ორი გრძნობიერად შეთხზული წერილი გაზეთისა გამოაფხიზლებდა აქაურ ქართველებსაც და ამითი თუ არ სარგებლობა, ზიანი არ მიეცემოდა არც ამათ და არც ქვეყანას.

აქ რამდენიმე მოხუცი ქართველი სცხოვრებს, რომლებიც ვაჭრობით ირჩენენ თავს და თითქმის ყველანი რკინეულობით ვაჭრობენ. ვისაც ერთ დროს შემთხვევით მოუგია ფული, იმისთანა სულ ოთხი მოხუცია: პეტრე ბაკაკიშვილი, პეტრე და იოსებ ბრეჟანიშვილი, ანტონ წინამძღვარიშვილი და პავლე გოზალიშვილი. ამ ოთხ მოხუცში პეტრე ბაკაკიშვილი საკმაოდ მდიდარია, საკმაოდ აქვთ შეძლება ბრეჟანიშვილსა და წინამძღვრიშვილსაც, გოზალიშვილი კი ცოტაოდენი წაფორხილებულია, რადგან ყველაზედ უფრო სჩვევია ქართული ჩვეულება და დიდი წილი თავისის ქონებისა აქეთ-იქით გაუნათხოვრებია თავის საწყალ მოძმეებთა შორის, რის დაბრუნებას არავინ ჰფიქრობს და არცა აქვთ. დანარჩენნი ღარიბები არიან, ასე რომ ლუკმა პურს ძლივსა ჰშოულობენ, მხოლოდ საზიზღარი ქეშპობა, ტრობა და მიეთ-მოეთობა-კი მაინც საშინლად არის გავრცელებული და ისეც გალატაკებულები უფრო და უფრო ლატაკდებიან. ამათ საზოგადოდ ყველამ, როგორც შეძლებულმა, ისე შეუძლებელმაც, არც საქმის დღე იციან, არც უქმის დღე, ყოველ დღეს, გარდა ახალის წლისა და აღდგომისა, დილით ადრე წავლენ თავთავიანთ დუქნებში და სალამოზედ მოვლენ სახლში. ეკკლესიაში წასვლა, ანუ ერთმანეთისას მისვლა-მოსვლა, ან ჰკუით ვარჯიშობა ან კითხვა-წერა ამისთანაები არა მოიძევება-რა მაშინ, როცა სხვა ამათ გვარი ვაჭრები, როგორც სომხები, ურიები და სხვანი, თან-და-თან მდიდრდებიან და ყოველ კვირა-უქმე დღეებსაც თავ-თავიანთ წეს-რიგით ასრულებენ. რა არის მიზეზი, რომ სხვები მდიდრდებიან ამ ხელობით და ესენი-კი, რომლებიც ყველაზედ ძველი ვაჭრები არიან აქ ამ ხელობისა, თანდათან უკან მიდიან და შეიძლება რამდენისამე წლის შემდეგ სრულებით უგროშოდაც დარჩნენ? ის არის მიზეზი, რომ სრულიად გაუნათლებლები არიან, ან სად უნდა განათლდნენ, როცა არავითარი საშუალება არა აქვთ და როდესაც ქართულს ენაზედ არა მოიპოვება-რა, არც სასწავლებელი და არც წიგნთ საცავი.

სხვა ენებისა, მაგალითებრ: ბერძნულისა, თათრულისა და ფრანგულისა ბევრია სასწავლებელი აქ, მაგრამ ამ სასწავლებლებში შესვლის შეძლება ამათ არ შესწევთ და თუ ვინმეს შესწევს, ისიც უცხოს თვალით უყურებს ასეთს განათლებას. აქ რომ ერთი ქართულ-ფრანგული სასწავლებელი იყოს, დარწმუნებული ვარ, ყველა დიდის კმაყოფილებით ასწავლიდა თავისს ბავშვებს და ამით შემსუბუქდებოდა ამათი სამწუხარო მდგომარეობა, მაგრამ სად არის. აქ ერთი კარგი მონასტერიც აქვთ ქართველ კათოლიკეთა ბერებს, მხოლოდ რას უფრო ეტანებიან, არავინ იცის, ქართველობას თუ ფრანგობას. სასწავლებლები სხვა-და-სხვა ენაზედ ბევრი აქვთ და ქართულზედ-კი არა. მაგალითად, ბერძნულ-ფრანგული ოთხი სასწავლებელი აქვთ და კარგადაც ასწავლიან, მხოლოდ ამ სასწავლებლებში ერთი ქართველი არ სწავლობს. ის ქართველი ყმაწვილები, რომელიც ჩამოჰყავთ აქ გასაწვრთნელად, იეზუიტების სასწავლებლებში ჰყავთ. ქართულის სასწავლებლის დაარსებას ვერ ახერხებენ: ერთი მისთვის, რომ ქართველი ბავშვები ეცოტავებათ (ოც-და-ათზედ მეტი იქნება აქ ქართველი ბავშვი); მეორე ქართულ-ფრანგულს სასწავლებელს შემოსავალი არ ექნებაო. მესამე და უმთავრესი-კი ის არის, რომ ქართული არ იციან რიგიანად.

ამ მონასტრის დამაარსებელი მამა პეტრე ხარიჭარაშვილი, რომელიც კარგა ხანია, რაც მიიცვალა, ძალიან სცდილობდა ქართული სასწავლებელი დაეარსებინა მონასტერთან, მხოლოდ სიკვდილმა მოუსწრო და ვეღარ შეასრულა თავისი განზრახვა. იმის ადგილას ეხლა მოვიდა რიგიანად განათლებული და მჭევრ-მეტყველი მღვდელ მონაზონი პატრი სტეფანე გიორგიძე (წინად ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიის წინამძღვრად ნამყოფი). იმისი დიდი იმედი გვქონდა და გვაქვს კიდეც, მაგრამ რა უნდა ჰქმნას მარტო ერთმა. „დიდი ღონიერი კაციც-კი ულონოა, თუ მოძმე ხელს არ მისცემსო", ნათქვამია. ჩამოვიდა თუ არა აქ პატრი სტეფანე, მოინდომა როგორმე გაეუმჯობესებინა აქაურის ქართველების მდგომარეობა როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც. მონასტრის ერთს დღესასწაულის დროს მოუწოდა კიდეც ყველას, მაგრამ სულ ორი თუ სამი

---

ციაში და მეორე დილაზედ-კი მომრიგებელ მოსამართლეს წარუდგინეს. მოსამართლემ გაარჩია საქმე და საყვედური უთხრა ორატორებს, რატომ არ გაუგონეთ პოლიციასაო.

მეორე კვირას იმავ ადგილას იმავე პოლიციელების წინაშე უფრო დიდმა მიტინგმა მოიყარა თავი. მოვიდა პოლიციის ინსპექტორი, კიდევ დააპატიმრა ორატორები და მოსამართლეს წარუდგინა... ასე გასტანა ამ საქმემ ხუთიოდე კვირას, იმ დრომდე, სანამ თავისი არ შეისრულეს და უმაღლესმა მოსამართლემ არ განაცხადა, რომ არ არსებობს ასეთი კანონი, რომლითაც პოლიციას უფლება ჰქონდეს მიტინგის აღკრძალვისა, რა ადგილასაც უნდა იყოს იგი გამართულიო, მაგრამ საერთო სანთიანობისა და სიკეთისათვის, უკეთესია, თვით ორატორებივე სხვა, უფრო მოხერხებულს ადგილს ამოირჩევენო. რა-კი ერთი თავისი გაიყვანეს, შემდეგ, მართლაც, სამიტინგო ადგილი შესცვალეს.

ასეთი მაგალითი ინგლისელის სიმტკიცე-სიკერპისა თვით წვრილ-მან საქმეებშიაც-კი ათასი მოინახება. „ჩვენი ყოველ დღიური ცხოვრებაო, მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, წვრილმანებისაგან არის შეკოწიწებული. ნურავის ნუ დაუთმობთ თქვენს წვრილმანს უფლებას და სხვილმანის ხელის შეხებას ვერარავინ გაჰბედავსო". მგონი არსად არ ასრულებს ადამიანი ამ თქმულებას, როგორც აქ, ამ ჩვეულებისა და არა უფლების თეორიულ მაგალითებისა, ამ ცხოვრების პრაქტიკისა და არა დაწერილ კანონების ქვეყანაში.... ამათი მმართველი ხომ პირველი მინისტრია, რომელსაც კონსტიტუციით არავითარი გარკვეული უფლება არა აქვს მინიჭებული. თვით ეს კონსტიტუციაც დაწერილი, გარკვევით ანუსხული არა ჰბოგინებს, არსებობს მხოლოდ წესი, ჩვეულება, ზნე. აი, ამაშია დაფარული საიდუმლო ძლიერება ინგლისის საზოგადოებურ ცხოვრებისა: საზოგადოებურ ცხოვრების წესიერ განვითარების საუკეთესო უზრუნველ-მყოფელი ის კანონია, რომელიც ზნესა და რჯულს ჩაჰქსოვებია, ჩვეულებადა ქცეულა, დაურღვეველ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული.

**

ელექტრონი ჯერ არამც თუ საკმაოდ არ არის გამოყენებული და მოხმარებული მეხანიკისა და ადამიანის ყოველ დღიურ ცხოვრებისათვის, არამედ მეცნიერებაშიაც-კი იგი სულ სხვა-და-სხვა გვარ ნიადაგსა ჰპოულობს, როგორც ამასა ჰმოწმობს ახალგაზდა სწავლულის ტესლის მუშაობანი. ამისდა მიუხედავად, ეხლაც ბევრს მხრივ ჰხმარობენ ელექტრონს. ამერიკის გაზეთებში დაწვრილებით არის აღწერილი ნიუ იორკში ყოფ „ფრანკლინის საექსპერიმენტო კლუბის" არსებობის წლის-თავის დღესასწაულები.

კლუბის დარბაზი ელექტრონით იყო თურმე განათებული. სტოლზედ თავის თავად მოდიოდა რელსებზედ ელექტრონის შემწეობით საჭმელი, რაიცა ელექტრონზედვე იყო მოხარშული, შემწვარი, გამომცხვარი. სუფრის თავში იჯდა თვით დიდებული თანამშრომელი გიორგი ვაშინგტონისა—ფრანკლინი, ცოცხალი კი არა, რასაკვირველია, არამედ დიდი, კაცის ოდენა მოძრავი და მოლაპარაკე ტიკინი (ავტომატი), მიეგება სტუმრებს და გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, ფონოგრაფის შემწეობით. მეორე სიტყვა ფრანკლინმა პირველ თავ საჭმელის ჩამორიგების შემდეგ წარმოსთქვა. სადილის განმავლობაში უკრავდა მუსიკა, ესეც ელექტრონის ფონოგრაფით მოწყობილი და, სხვათა შორის, განიმეორა სიტყვანი და მარსელიეზი „Vive la France"-ს და „Vive la Republique!"-ს ძახილი-თურთ, აღსრულებულ-წარმოთქმულნი პარიჟის მსოფლიო გამოფენის დაწყების დღეს, 1889 წ.

ყოველ თავ საჭმელის ჩამორიგებასთან ხომ საოცრება საოცრებას მისდევდა: ელექტრონი შუაზედ აპობდა ლოკოკინას, კვერცხსა და ყავასა ჰხარშავდა, პუნშს ათბობდა. სადილის დასასრულს ნამდვილ ვარდ-ყვავილების წვიმა მოვიდა: ყოველს ვარდსა და ყვავილს ღეროში მართული ჰქონდა გაყრილი და დარბაზის ჭერში იყო აზიდული ელექტრომაგნიტის ძალით; საკმარისი იყო ელექტრონის დენა შეეწყვიტათ და ვარდ-ყვავილი სტუმრებს დაეყარათ თავზედ. სტუმრები რომ წამოიშალნენ სუფრიდგან, გაისმა ფორტოპიანოზედ დაკრული მარში, რომელსაც იმ წუთას უკრავდნენ ჩიკაგოში (800 ვერსტის სიშორეზედ) და ტელეფონს მოჰქონდა იმისი ხმა საოცრად ნათლადა და მკაფიოდ.

რასაკვირველია, ყოველივე ეს შეძლებულ კაცთა გასართობად და ქეიფის დასაკმაყოფილებლად არის მოგონილი, მაგრამ აქედგანაც ნათლადა სჩანს, რაოდენის სიტკბოებისა და ბედნიერების განხორციელებას შეიძლებს ადამიანი ამ ქვეყნად, როდესაც ცოდნა საზოგადო კუთვნილება იქნება, როდესაც შეთანხმებული საზოგადო სიკეთე და მეცნიერება ადამიანთ განათლებულ და თანასწორ უფლებიან საზოგადოებად, გონება-განვითარებულ მუშათა კრებულადა და მოსიყვარულე მეზობლებად გადააქცევს და გარდაჰქმნის.

W. Vaziani

გამოცხადდა, დანარჩენებმა ის მოიმიზეს, რომ დუქანს მარტო ვერ დავტოვებთო. არ იფიქროთ, რომ მართლა მარტო იყოს დუქნები, არა ყველას თითო-ოროლა მომხმარე ჰყავთ—ზოგს შვილები, ზოგს შეგირდი და ზოგსაც ამხანაგები, მხოლოდ ერთმანეთის ჯიბრის გამო მაინც არა ჰშორდებიან დუქნებს, თუ ის აქა ზის, მეც აქ ჩავკვდებიო. მერე იცით რა დუქნები აქვთ—ჩვენებური ქათმების კარიაზედ უდიდესი არც-კი არის. პატრი სტეფანე ამ შემთხვევამ ძალიან შეაწუხა,—მან დიდად საგრძნობელი სიტყვაც სთქვა ამათ საყურადღებოდ, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა და საქმით-კი არა გარიგებულა-რა.

ასე გაგარეგანდა აქაური ქართველობა, მაგრამ როცა იმათ ქოხსა ანუ დუქანში მიდიხართ, მაინც სასიამოვნოა იმათი ნახვა, რადგან ყველა ქართველობას ჩემულობს და ქართულად ლაპარაკობენ; თუ ქართული გაზეთი ან წიგნი შეხვდათ, დიდის სიამოვნებით კითხულობენ, თუმცა მიხვედრით ბევრს რასმე ვერც-კი მიხვდებიან. ყველაზედ უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ყოველ გვარ საქონელს ქართული წარწერები აქვს და ვგონებ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ჯერ ქართული არ დავიწყებიათ. არც ის იფიქროთ, რომ სწავლის სურვილი არა ჰქონდეთ: ძალიან რომ ჰსურთ და დიდად მოწადინებულნიც არიან, ამას ის გვიმტკიცებს, რომ სომხური კითხვა შეუსწავლიათ და ამ საშუალებით გაზეთებს კითხულობენ. აქ ბევრი სომხური გაზეთი იბეჭდება და იმათ რიცხვში ერთი თათრულ ენაზედ არის სომხურის ასოებით. აქაურმა ქართველობამ თათრული ლაპარაკი კარგად იცის და ამ გაზეთს კითხულობენ. ეს გაზეთი ძლიერ იაფიც არის, ყოველ-დღიურია და თვეში ჩვენებურს ფულზედ ათი შაური ჰღირს.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ სულ ორმა სამმა ქართველმა, აქ ფეხი გავიდგით და ავძარით აქაურს ქართველთა შორის აზრი გაზეთ-ჟურნალების გამოწერისა. პირველად ყველა ჩვენთაგანი უსაფუძვლოდ უყურებდა ამ საქმეს, ასე გვეგონა, არ თანაგვიგრძნობდნენ, ხოლოდ მოვკიდეთ თუ არა ხელი საქმეს, სულ სხვა დავინახეთ, მაშინვე ზოგმა ნამდვილის გრძნობით, ზოგმა ხათრით და ზოგმაც ჯიბრით საკვირველი თანაგრძნობა აღმოგვიჩინა, რამდენისამე დღის განმავლობაში მოვაგროვეთ ას-ოცდა თექვსმეტი მან., რომელიც წარსულ წელში გამოგზავნილ იქმნა «ივერიის» რედაქციაში რუსთველის ძეგლის სასარგებლოდ. ეხლა რაკი ეს განზრახვა აგვისრულდა პირველსაც მოვკიდეთ ხელი, მხოლოდ ის-კი ისე ადვილად ვერ ხერდება, ბევრი დაბრკოლება გვეღობება წინ. ჩვენი აზრი არის, როგრმე გაზეთ-ჟურნალების შემწეობით წინ წავსწიოთ აქაური ქართველობა როგორც ნივთიერად, ისე გონებრივად ჩვენ გვინდა გაზეთები გამოიწერონ და ამ საშუალებით შეეჩვიონ კითხვას, შეიგნონ რიგიანად თავ-თავიანთი მოვალეობა და არ ჩამორჩნენ უკან ამ მხრივ სხვა ვაჭრებს. რამდენიმე მათგანი დაგვეთანხმა კიდეც, მაგრამ რადგან ჩვენი გაზეთები ძალიან ძვირია, ამისათვის ვერ ახერხებენ. ეხლა ორი სამი მსურველი აღმოჩნდა გამოიწეროს „ივერია“, თუ იმ ფასად დაგვეთმობა, როგორც ჩვენში არისო, და ამისათვის ვთხოვთ ყველა რედაქციებს, თუ შესაძლებელი იქმნება, დაეთმოს აქაურ ქართველობას ჩვენი ქართული გამოცემანი, როგორც გაზეთ-ჟურნალები, ისე წიგნებიც იმ ფასად, როგორც ჩვენში ღირს. მსურველნი ბევრნი არიან მხოლოდ, როგორც ზემოდ ვსთქვით სიღარიბე ხელს არ ძლევთ. გარდა იმისა, რომ ერთბაშად ამოდენა ფულის გამოღება, ერთი გარემოებაც ხელს უშლის; ეს ის გარემოებაა, რომ აქაური ფოსტა ყოველ გაზეთის მიტანაზედ თითო ყურუშს ართმევს (რვა კაპეიკია) და ეს ხომ წელიწადში სამის გაზეთის ფასს ეთანასწორება.

იასე რაჭველი

25 ივლისი 1894 წ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის დეპუტატთა პარლამენტმა 369 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 80-ისა შეიწყნარა ის აზრი, რომ გარდასახადი შემოსავლის კვალობაზედ იქმნას დანიშნულიო. ლაპარაკმა გარდასახადთა წესის შეცვლის შესახებ რამდენიმე კრება მოინდომა და ბოლოს გაიმარჯვა ახალმა მიმართულებამ საფინანსო და საეკონომიო პოლიტიკისამ, რომელიც იმასა თხოულობს, რომ შეუმსუბუქდეთ ტვირთი გარდასახადისა ღარიბებს და საზოგადოდ უფრო სამართლიანად იქმნას განაწილებული გარდასახადის გაწერვის საქმე მდიდართა და ღარიბთა შორის. რასა თქმა უნდა, პარლამენტი წინააღმდეგი იყო სოციალისტთა დასის მეთაურის ჟორესის აზრისა, რომ გავაუქმოთ სრულიად აწინდელი წესი გარდასახადისა და ერთი საზოგადო წესი დავაარსოთ, შემოსავლის კვალობაზედ ვართვათ გარდასახადი და შემოსავლის გაძლიერებასთან თანდათან გავაძლიეროთ იგიო. ასე უეცრად შეცვლა მთლად წესისა მხოლოდ არევ-დარევდა საფრანგეთის ფინანსებს, რადგან ხაზინის შემოსავლის შემცირება მოჰყვებოდა. ამ საომრად სამზადისის დროს დიდის სახელმწიფოსათვის ძნელია ერთბაშად ასეთის ცვლილების შემოღება, მით უმეტეს, რომ ადმინისტრაცია ამისათვის მომზადებული არ არის. პარლამენტმა უარ-ჰყო ჟორესის აზრი სამის მეოთხედის უმეტესობით წინააღმდეგ საზოგადო რიცხვის ერთის მეოთხედისა.

კრების დაწყებისათანავე-კი, 9 ივლისს, კავენიაკმა გამოსთქვა თავისი აზრი გარდასახადთა შემცირების შესახებ. „ყოველ-დღიურ სახმარებელს საგნებს ჩვენში დიდი ხარჯი ადევს, ასე რომ ჩვენი საგარდასახადო წესი უფრო მძიმე ტვირთად აწვება მცირე-შეძლებულს, წვრილ-შვილიანს. ლეროუა-ბოლიეს გამოუანგარიშნია, რომ პარიჟელი ოჯახი, სამის სულისაგან შემდგარი, 370 ფრანკს გარდასახადს იხდისო. ეს მეხუთე ნაწილია ორთა შუა ნაანგარიშებ შემოსავლისა, რომელიც 1800 ფრანკად უნდა აღინიშნოს და არა 3,400 ფრანკად, როგორც ლეროუა-ბოლიე სჩადის. პროვინციაში მცხოვრებელი ოჯახი იხდის 160 ფრანკს. როგორც ხედავთ, აქაცა და იქაც შემოსავლის მეხუთედი გარდასახადს უნდება. მაშასადამე, გარდასახადი უფრო მუშაკაცს აწვება ტვირთად, მცირე გარდასახადის მძლეველს. ასეა არამც თუ საფრანგეთსა, არამედ მთელს ევროპაში. სახელმწიფო-კი, პირ-იქით, მდიდარს, შეძლებულს უფრო მეტს უნდა ართმევდეს, ვიდრე ღარიბს; სანებივროს და საფუფუნებელს ნივთებს უფრო მეტი გარდასახადი უნდა ედოს, ვიდრე ყოვლად საჭიროსა და აუცილებელს. ტყუილად ჰგონიათ, რომ ძნელია მომატებულის შემოსავლის გამოანგარიშებაო. ჩემის აზრით, დიდი განსხვავებაა მუშის მონაგარის მეხუთედს ნაწილს ავიღებთ, რომელიც სულ 1,800 ფრანკს შეიცავს თუ მეხუთედს ნაწილს იმ ადამიანისას, რომელსაც 500,000 ფრანკი შემოსავალი აქვს. უმთავრესი ჩვენი საგანი ის უნდა იყოს, რომ საჭირო მსხვერპლი მოვთხოვოთ სიმდიდრეს. ეს ცვლილება ძალ-დატანებით არ უნდა იყოს შემოღებული; იგი უნდა შემოიღონ აწინდელის წესის მომხრეებმა, კონსერვატორებმა, რომელნიც ამითი ყველას ნათლად დაანახვებენ, რა დიდად არიან მოწადინებულნი სიკეთის ქმნას. ყოვლად საჭიროა, რომ ერს რაც შეიძლება დიდად შევუმციროთ გარდასახადი, ისევე, როგორც სამხედრო ბეგარა ყველასათვის ერთგვარია შემოღებული. და როდესაც ამას იზამთ, იმ დღეებში მთელი მდაბიო ხალხი რესპუბლიკას მიემხრობა, მთელი დემოკრატია მთავრობას ნდობის თვალით შეჰხედავს. (მემარცხენენი დიდის გატაცებით უკრავენ ტაშს).

პარლამენტმა უარ-ჰყო ეს წინა-ადადება 267 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 236-სა.

### პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148 | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | — ,, |
| —მეორისა | — ,, | — ,, | — ,, |
| 4°/₀ მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | ,, | — ,, | 190½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀ | — ,, | 101¾ | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀ | — ,, | 102 | — ,, |
| 5°/₀ | — ,, | 101 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — ,, | — ,, |

## განცხადებანი

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.
რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—26)

სავაჭრო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური სავაჭრო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) სავაჭრო ეკონომია, 2) სავაჭრო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) სავაჭრო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის ზირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—3)

დედა-ენა
დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად-32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც შეიცავს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, ზნეობრივს ადკილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—9)

სავაჭრო სახლი
ნ. ლ. შუსტოვისა და მისი შვილისა
სურვილი მაქვს რა პირდაპირ ვიქონიო დამოკიდებულება ბაღის პატრონებთან, უმორჩილესად ვსთხოვ ვისაც სურს საუკეთესო კონიაკის და ღვინის გასყიდვა, მოიწერონ თავისი წინადადება უმთავრესს კანტორაში შემდეგის ადრესით: Москва, Большая Садовая, соб. домъ. 2—1